ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
დამატებითი პროგრამა: ლიტერატურათმცოდნეობა
კურიკულუმი

ფაკულტეტის დასახელება	**მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი**
პროგრამის დასახელება	**დამატებითი პროგრამა: ლიტერატურათმცოდნეობა** **Literary Studies**
პროგრამის ხანგრძლივობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	6 სემესტრი, 60 კრედიტი (1 კრედიტი - 25 საათი)
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავებულია 2011 წელს და განახლდა 2023 წელს. პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით მისი განახლება შესაძლებელია ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში.
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები	პროფესორი ბელა წიფურია, პროფესორი ლევან ცაგარელი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)

დამატებითი პროგრამა შეთავაზებული იქნება იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ჩაირიცხებიან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე. დამატებითი სპეციალობის არჩევა სტუდენტებს შეეძლებათ მე-3 სემესტრის დაწყებამდე.

პროგრამის მიზნები

ლიტერატურათმცოდნეობის დამატებითი პროგრამა აცნობს სტუდენტებს მსოფლიო ლიტერატურის მნიშვნელოვან ტექსტებსა და მიმდინარეობებს ფართო კულტურულ, ისტორიულსა და საზოგადოებრივ კონტექსტში.
პროგრამა სცდება რომელიმე ერთი ქვეყნის, ჟანრის, სტილის ან ეპოქის ლიტერატურის საზღვრებს. მისი მიზანია, მისცეს სტუდენტს ფართო ცოდნა ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის შესახებ და განუვითაროს მას ლიტერატურული ნაწარმოების ინტერპრეტაციის საბაზო უნარები.
ამასთან, პროგრამა უვითარებს სტუდენტს კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, არგუმენტირებული მსჯელობისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს.

სწავლის შედეგები

პროგრამის კურსდამთავრებული;კურსდამთავრებულს

1. ხსნის ლიტერატურათმცოდნეობის ძირითად ცნებებს, პრინციპებსა და კონცეფციებს;
2. აღწერს ლიტერატურული გვარებისა და ჟანრების ძირითად ესთეტიკურ და სტრუქტურულ თავისებურებებს;
3. განარჩევს ერთი ან მეტი ქვეყნის ლიტერატურის ისტორიის ძირითად ეპოქებსა და მიმდინარეობებს;
4. უკავშირებს ლიტერატურულ ნაწარმოებებს შესაბამის ისტორიულ, ინტელექტუალურსა და კულტურულ კონტექსტებს;
5. მსჯელობს ლიტერატურული ნაწარმოებების შესახებ საბაზისო ანალიტიკური კატეგორიების გამოყენებით;
6. მოიძიებს სამეცნიერო რესურსებს აკადემიური ფორმატის ნაშრომის შესადგენად, ახდენს მოძიებული ინფორმაციის შეფასებასა და სინთეზს;
7. შეუძლია სპეციალისტებსა და არასპეციალისტებთან თავისი იდეებისა და არგუმენტების შესახებ ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვითა და თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.

პროგრამის სტრუქტურა

ლიტერატურათმცოდნეობის სტუდენტმა უნდა შეისწავლოს:
სავალდებულო კურსები კოდით HUMLITGEN - 42 კრედიტი (გარდა საბაკალავრო ნაშრომისა)

- თანამედროვე ლიტერატურა: მიმდინარეობები, დაჯგუფებები, ტექსტები
- ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი
- ლიტერატურული ტექსტის ანალიზი
- ანტიკური ლიტერატურა
- დასავლური ლიტერატურა შუა საუკუნეებიდან თანამედროვეობამდე
- ქართული ლიტერატურის პარადიგმატული ისტორია
- შემოქმედებითი წერა

სავალდებულო-არჩევითი კურსები კოდით HUMLIT- 18 კრედიტი (ნებისმიერი სავალდებულო-არჩევითი კურსი)

სწავლების მეთოდები

- ლექცია;
- სემინარი;
- ანალიზი და სინთეზი;
- ელექტრონული სწავლების მეთოდი/ელემენტები;
- დემონსტრირების მეთოდი;
- დისკუსია/დებატები;
- გონებრივი იერიში;
- ჯგუფური მუშაობა;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;
- თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება);
- ინდუქციური და დედუქციური მეთოდები;
- სუპერვიზია;
- რეფლექსია და სხვა.

შენიშვნა: პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები დაკონკრეტებულია შესაბამისი კურსების სილაბუსებში.

შეფასების წესი

შეფასება **100-ქულიანი სისტემით** მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და განისაზღვრება ამგვარად:
(A) ფრიადი - 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
(C) კარგი - 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - 51-60 ქულა;
(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა- 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შენიშვნა: შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები მოცემულია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

- უნივერსიტეტში არსებული საინფორმაციო კომპიუტერული ცენტრი
- სალექციო აუდიტორიები
- საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა
- შედარებითი ლიტერატურის ინსტიტუტი
- წიგნის სახლი "ლიგამუსის" საჯარო ლექციების სივრცე
- წიგნის კითხვის კლუბი
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი"
- სასწავლო პროცესის მართვის სისტემა www.e-learning.iliauni.edu.ge და მასში ინტეგრირებული პროგრამა Turnitin
- აკადემიური წერის ცენტრი: https://writingcentre.iliauni.edu.ge/ge/

ლიტერატურათმცოდნეობა

	კურსები	სტატუსი (სავ., სავ./არჩ., არჩ.)	ლექტორი	წინაპირობა	კრედიტ	საკონტ-ი	სემესტრები	
							შემ.	გაზ.
სავალდებულო კურსების ბლოკი - 42 კრედიტი								
	თანამედროვე ლიტერატურა: მიმდინარეობები, დაჯგუფებები, ტექსტები	სავალდებულო	ბელა წიფურია		6	32		X
	ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი	სავალდებულო	თამარ ლომიძე		6	32	X	X
	ლიტერატურული ტექსტის ანალიზი	სავალდებულო	თამარ ლომიძე	ლიტერატურათ მცოდნეობის შესავალი	6	32		X
	ანტიკური ლიტერატურა	სავალდებულო	ლევან ბერძენიშვილი		6	32		X
	დასავლური ლიტერატურის ისტორია	სავალდებულო	ლევან ცაგარელი		6	32		X
	ქართული ლიტერატურის პარადიგმატული ისტორია	სავალდებულო	ირმა ყარაულაშვილი, თამარ ლომიძე, ბელა წიფურია		6	32	X	
	შემოქმედებითი წერა	სავალდებულო-არჩევითი	ანა კორძაია-სამადაშვილი		6	32		X
სავალდებულო-არჩევითი კურსების ბლოკი - 18 კრედიტი								
ლიტერატურული ეპოქები								
	ცენზურის ისტორია ტოტალიტარული რეჟიმების დროს	სავალდებულო-არჩევითი	ლაშა ბუღაძე*		6	32		X
	შესავალი კლასიკურ ფილოლოგიაში	სავალდებულო-არჩევითი	თამარ ჭეიშვილი		6	32	X	
	ბერძნული დრამა	სავალდებულო-არჩევითი	ლევან ბერძენიშვილი		6	32	X	
	ძველი ბერძნული პროზა	სავალდებულო-არჩევითი	ლევან ბერძენიშვილი		6	32		X
	დასავლური რომანი XIX-XX საუკუნეებში	სავალდებულო-არჩევითი	ლევან ცაგარელი		6	32		X
	90-იანი წლების გარდამავლობა ლიტერატურასა და კინემატოგრაფში	სავალდებულო-არჩევითი	თეა თალაკვაძე*		6	32		X
	რომაული დრამა	სავალდებულო-არჩევითი	ლიკა გორდეზიანი		6	32		X
ლიტერატურული თემები და ლიტერატურული მოტივები								
	ფემინისტური ლიტერატურა და ქალური წერის თავისებურებანი	სავალდებულო-არჩევითი	სალომე პატარიძე		6	32		X
	ომი, ტოტალიტარიზმი, რასიზმი და კოლონიალიზმი ქალთა ლიტერატურაში	სავალდებულო-არჩევითი	სალომე პატარიძე*		6	32	X	
	დროისა და სივრცის რეპრეზენტაცია თანამედროვე ლიტერატურაში	სავალდებულო-არჩევითი	სალომე პატარიძე		6	32		X
	ქალი, პოლიტიკა და კულტურის დისკურსი	სავალდებულო-არჩევითი	ლაშა ბუღაძე*, ხატია დეკანოიძე*		6	32		X

	ანტიკური ლიტერატურა შუა საუკუნეებსა და რენესანსში	სავალდებულო-არჩევითი	ლიკა გორდეზიანი		6	32		X
ლიტერატურა და სხვა მედიები								
	ლიტერატურა და კინოხელოვნება	სავალდებულო-არჩევითი	ლევან ცაგარელი		6	32	X	
	კულტურის კვლევების შესავალი	სავალდებულო-არჩევითი	ლევან ცაგარელი		6	32	X	X
	დრამის თეორია და პრაქტიკა	სავალდებულო - არჩევითი	დავით გაბუნია		6	32	X	X
	ლიტერატურული კრიტიკა	სავალდებულო-არჩევითი	ანა კორძაია-სამადაშვილი		6	32		X
	როგორ მოვუსმინოთ ლიტერატურას და წავიკითხოთ მუსიკა 1	სავალდებულო-არჩევითი	ლაშა ბუღაძე*		6	32		X
	როგორ მოვუსმინოთ ლიტერატურას და წავიკითხოთ მუსიკა 2	სავალდებულო-არჩევითი	ლაშა ბუღაძე*		6	32		X
	ლიტერატურა და საჯარო სიტყვის ხელოვნება	სავალდებულო-არჩევითი	რატი ამაღლობელი*		6	32		X
დიდი მწერლები და დიადი ნაწარმოებები								
	დიდი რომანები, ბიოგრაფიები და კონტექსტები (ავტორი და ტექსტი)	სავალდებულო-არჩევითი	ლაშა ბუღაძე*		6	32	X	
	ეპოქის დასასრული - თომას სტერნზ ელიოტი და იოსიფ ბროდსკი	სავალდებულო-არჩევითი	გია ჯოხაძე		6	32		X
	XIX საუკუნის ლიტერატურული შედევრები	სავალდებულო-არჩევითი	გაგა ნახუცრიშვილი*		6	32		X
	ლიტერატურული შედევრები XX - XXI საუკუნეებში	სავალდებულო-არჩევითი	გაგა ნახუცრიშვილი*		6	32	X	
	პოეზიის შედევრები	სავალდებულო-არჩევითი	გაგა ნახუცრიშვილი*		6	32	X	X
	„ვეფხისტყაოსანი“ რუსთველისა და მომდევნო ეპოქათა სააზროვნო კონტექსტში	სავალდებულო-არჩევითი	ცირა კილანავა		6	32	X	
	საბაკალავრო ნაშრომი	სავალდებულო-არჩევითი			6	32		X